ხელშეკრულება N19

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი

20 ივლისი 2017 წელი

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულებათა მართვის სააგენტო (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ნუგზარ ინჯიას სახით** და მეორეს მხრივ, **შპს "გორის სერვის ჯგუფი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") ს/კ 218024153 დირექტორი რევაზ შაქარაშვილი,** ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული წესით შემდეგზე:

1. **შესყიდვის ობიექტი**

1.1.

#	დასახელება	CPV კოდი	ზ/ე	რაო-ბა	ერთ. ფასი	ჯამი
1	პარკირების აბონენტის ღირებულება 2017 წლის 20 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ა/მანქანაზე სახელმწიფო ნომრით II-899-QQ	63712400	ცალი	1	30	30
2	პარკირების აბონენტის ღირებულება 2017 წლის 20 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ა/მანქანაზე სახელმწიფო ნომრით II-899-JJ	63712400	ცალი	1	30	30
	სულ					60

1.2 სააბონენტო გადასახადის გადახდის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია გააქტიუროს პარკირების სისტემაში შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **60 (სამოცი)** ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. მიწოდების ადგილია ქ. გორის ტერიტორია.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. **ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი**

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება შესყიდვის ობიექტის მოწოდების და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.4. წინასწარი გადახდის მექანიზმი (ავანსი) არ გამოიყენება.

5.5. დაფინანსების წყარო - 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

5.6. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერი შემთხვევაში შეეზღუდება ან/და შეუწყდება მომსახურების მიწოდების უფლებამოსილება იგი ვალდებული იქნება შემსყიდველს დაუბრუნოს გასაწევი მომსახურების ვადის შესაბამისი თანხის ოდენობა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (საიდანაც ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულებათა მართვის სააგენტო	შპს "გორის სერვისჯგუფი"
ს/კ 417886773	
სახელმწიფო ხაზინა	ს/კ 218024153
კოდი : TRESGE22	ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“
ა/ა 749633460	ბანკის კოდი : LBRTGE22
	ა/ა GE24 LB01 1311 0005 4550 00
მისამართი: გორის მუნ. ალაშვილის ქ., #4	მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მე-2 კმ.
დირექტორი ზურაბ ბერიძე	დირექტორი რევაზ შაქარაშვილი

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“